

# საქართველი

საერთო უკრაინული გაზეთი

ორშაბათი 29 მარტი 2004 №69 (2088)

ფასი 50 თეთრი

## ქირებს მანქანებს საქართველოს ნაკლები შერჩევა ნაკრები მზითვაზე ბარბოტ?



გაბრიელ კინილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრები მანქანაშია და გერმანელ ახალგაზრდებთან ხვალინდელი მატჩისთვის ემზადება.

უკვე ცნობილია, რომ ფეხბურთის ფედერაციის მიერ ნაკრების მწვრთნელ ალენ ჟირესის ჩაურევლად გამოძახებული 18 ფეხბურთელიდან მანქანაში სამი ვერ ითამაშებს — კალაძე ფეხს იტყობს, დემეტრაძის და ცქიტიშვილის არყოფნის მიზეზი კი უცნობია. თუმცა გავიგეთ, რომ ცქიტიშვილი მანქანაში ჩასულა და მწვრთნელისთვის გათავისუფლება უთხოვია. ვიცით ასევე, რომ ლომაია, აშვეთია და სირაძე ნაკრებს დღეს შეუერთდებიან.

აი, სულ ესაა, რაც ნუხელ მანქანაშიდან შევიტყვეთ. დანარჩენზე უკაცრავად, ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელი ახალი კი დანიშნა, მაგრამ მუშაობის მეთოდი იგივე დატოვა. რამდენიმე მცდე-

ლობის მიუხედავად, ფედერაციის საერთაშორისო საქმეთა დეპარტამენტს ნაკრების მისამართ-კოორდინატები ვერაფრით დავაცდევინეთ — თითქოს ეროვნული გუნდი კი არა, საკონცენტრაციო ბანაკი იყოს... შესაძლოა, ინფორმაციის განზრახ თუ უნებლიეთ დამალვა იმითაა გამოწვეული, რომ ფედერაციის პრეზიდენტი მანქანაში ჯერ არ ჩასულა და უმისოდ არავის არაფრის თქმა არ სურს. მერაბ ჟორდანიას გერმანიაში დღეს ელიან. იქამდე კი, რაც ვიცით, იმის კომენტარი ვთქვათ — ჟირესს სათამაშოდ სულ 15 ფეხბურთელი დარჩა. რომელთაგანაც სამს დღეისთვის ელის. განა ნორმალურია, ეროვნულმა გუნდმა ახალი მწვრთნელის ხელში პირველივე მატჩი ასეთ არანორმალურ პირობებში ჩაატაროს...

კობა ინასარიძე

## დღი! თანის პატრონმა პატრონს ააბა



გურამ დოღვაჯიანი ფოტო




REUTERS იანიდან

საქართველო რუმინეთს ბოლო ხუთ წუთამდე უგებდა

## ნავაბეთ, ოლონდ... ვლახეთში არ გავილახეთ

ევროპაში სანაკრებო რაგბიმ ჩაირიხინა, თავის საბუდარში ფრანგულმა მამალმა ქართულად იყივლა, ინგლისური ვარდი დაჭრა და ირლანდია სამყურათი გადამწვანდა. უელსურმა წითელმა დრაკონმა გაიღვიძა, ხოლო მამაცმა გულეებმა ქალის კაბა გადაიცვეს. მაგრამ ჩვენთვის მთავარი ამბავი ქართველთა ვლახეთში ლაშქრობა იყო, ბორჯღალოსნებმა იქ თითქმის მოუგეს მუხთალ „მოსისხლე“ რუმინელებს, თითქმის...



REUTERS ბარიზიდან

ინგლისის თასი ღმირტი იშვილმა აართვა

## რას გადამგვიჩივთ, მალგაბონო მუშუნა?

ბრაზილიელი რონალდინიო სველიაში რომ წყუმალაობდა, მისი თვისებით რონალდო მადრიდში „სველიას“ აწიოკებდა. ბარსელონელ რონის საწყუმალაოდ, აბა, ვინ მოაცდენდა — კატალონიელები „ბეტისის“ დამარცხებით პრიმერაში ზედიზედ მუათოდ გამარჯვებას აპირებდნენ, მაგრამ ეს საქმე ბუნებამ არ იხება — სველიურმა თავსხმამ „ბეტისის“ სტადიონის მიხდორი ისე დატბორა, თამაში შეუძლებელი შეიქნა. ხოლო იქ კი, სადაც თამაში შესაძლებელი იყო, ზემოთაც ვთქვით, რონალდომ და მისმა რეაქციამ თანაგუნდელებმა გააღალეს — „სველიას“ 5:1 მოუგეს და პრიმერას ისევ ყოჩობენ.



ბარსელონის მიმართვის მიმართვის წყალი

# შტილია ვერ ილაუბავს გერმანიამ თვრამეტაშვილს დათვალა

გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელმა ული შტილიკემ საბოლოოდ დაადგინა იმ 18 ფეხბურთელის სია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან მატჩისთვის რომ დასჭირდება.

შტილიკემ გერმანიის ეროვნული ნაკრების თავადაც რუდი ფილიერს ამ რამდენიმე დღის წინ სთხოვა, „მიუნხენ 1860“-ის ფორვარდი ბენ-ჟამინ ლაუტი დამითმეო, მაგრამ ლაუტი შაბათს „აინტრახტთან“ მატჩში დაშავდა და ვერცერთ ნაკრებში ვერ ითამაშებს — კუნთი გაეჭიმა. მის ნაცვლად შტილიკემ მეორე ბუნდესლიგის „ალემანიიდან“ ემანუელ კრონტირისს უხმო. დე-ბიუტანტი კი შტილიკეს გუნდს ერთი ჰყავს — მალიკ ფატი.

ახალგაზრდა გერმანელთა „ქართული“ თვრამეტეული ასეთია:  
**მეპარამები:** ტიმ ვიზე (კაიზერსლერტენი), ტომი შტარკე (ჰამბურგი);



ბასტიან შვაინსტაიფერი და ლუკაშ პოდოლსკი საქართველოსთან, სავარაუდოდ, სასტარტოში იქნებიან

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი  
**ჩვენი მეტოქე**

## საბურთალოსი

**ამოავალ** მსოფლიოშესარჩევში ჩვენი მეტოქე საბურთალოსის ნაკრების თავადაც ოტო რეპაგელმა 31 მარტს შევიცარათან სათამაშოდ შეგულებულ ფეხბურთელთა ვინაობა დაასახელა. შევასხვებთ, რეპაგელმა სამიოდ დღის წინ მხოლოდ ლევიონერთა სია გაუმხილა ჟურნალისტებს, თუმცა ახლა მათ საბურთალოსის ჩემპიონატში მოთამაშენიც დაუმატა. მწვრთნელის რჩეულთა შორის ჩემპიონატის ლიდერ „პანათინაიკოსის“ ფეხბურთელები სჭარბობენ (6), ხუთი მენაკრებე ჰყავს ათენის აეკ-ს. სამაგიეროდ, რეპაგელმა აინტრახტელ იოანის ამანტიდისზე თქვა უარი, რაც ყველასთვის გასაკვირ ამბად დარჩა.

სრული ბერძნული სია ასეთია:



ოტო რეპაგელისგან რატომაც დაწუნებული იოანის ამანტიდისი

ერსლაუტერნი), ტომი შტარკე (ჰამბურგი);

**მცველები:** მალიკ ფატი (ჰერტა), ანდრეას ვიორიცი (მიუნხენ 1860), შტეფან კლინგი (ჰამბურგი), ალექსანდრ მაღლონი (ჰერტა), კრისტოფ პროისი (აინტრახტი), შორის ვოლცი (ფულემი, ინგლისი);

**ნახევარმცველები:** ჰანო ბალიტჩი (ლევერკუზენი), თომას ბროიზი (მიუნხენგლადახი), მარკუს ფიულენერი (კიოლნი), ჯუზეპე ჯემიტი (ჯენოა, იტალია), თომას პი-ელშპერგერი (ასტონ ვილა, ინგლისი), ბასტიან შვაინსტაიფერი (ბაიერნი), კრისტან ტიფერტი (შტუტგარტი);

**თავდასხმელები:** მაიკ ჰანკე (შალკე), ემანუელ კრონტირისი (ალემანი), ლუკაშ პოდოლსკი (კიოლნი).

**დავით თავართქილაძე**

გუშინ მანჰაიმში დაბანაკებულ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ფრაიბურგელი ალექსანდრე იაშვილის მეუერთდა, ვინც ბოლო ტურში გოლითა და საგრძელ პასით გამოიჩინა. იაშვილი ფრაიბურგიდან მანჰაიმში მატარებლით გაემგზავრა, თუმც მანამდე გვარიანად განვალდა...

— რაც ფრაიბურგში ვარ, ასეთი რამ პირველად მოხდა — კვირა დღეს მთელი ქალაქი ქუჩაში გამოვიყვინა და გზებზე საცობები შეიქმნა — დაახლოებით 8 500 კაცი მართონს დარბოდა.

— „კიოლნს“ როგორი გოლი გაუტანე?

— ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ჩემსკენ გადმოვარდა და დაახლოებით 13-14 მეტრიდან შორეულ კუთხეში მაგარი გოლი გავიტანე. ასეთ გოლს გერმანულად ჰქვია ჰაველი (ინგლისურად HALF VOLLEY, სანახევროდ ჰაერში დარტყმული — რედ) — მიწიდან არეკნილ ბურთს ეგრევე რომ დააფარებ ფეხს.

— საგოლე პასიც მითვალე — როგორ გაატანინე როლა ანტარს?

— „კიოლნის“ საჯარიმოში შევედი და კარში დავარტყი, ბურთმა მიმართულე შეიცვალა და ანტარმა ის ფაქტობრივად ცარიელ კარში შეაგლო — მოკლედ, კარში დავარტყი, მაგრამ საგოლე გადაცემად ჩამეთვალა.


— ეს შენი მერამდენე საგოლე პასი იყო მიმდინარე ბუნდესლიგაში?

— მეშვიდე და, სხვათა შორის, გოლიც მეშვიდე გამოდგა.

— „ფრაიბურგში“ გერმანიის ოცდაერთწლამდელთა ნაკრების წევრი საშა რიტერი თამაშობს — არ ვისაუბრია მასთან მთავრობულ მატჩზე?

— არა, რადგან რიტერი მანჰაიმში არ იქნება. გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წინა ორ თამაშზე ული შტილიკემ რომ მიიწვია, რიტერი უთხრა,

# იაშვილის ჰაველი და შვიდ-შვიდი იქ, სადაც მთელი ქალაქი დარბის




ტრავმირებული ვარ და ნაკრებში ვერ წამოვალა, პოლა, შტილიკემაც ახლა აღარ მიიწვია რიტერი.

— კიოლნელი ფორვარდი ლუკაშ პოდოლსკი კი ალბათ ითამაშებს ჩვენი ნაკრების წინააღმდეგ — როგორ წარმოაჩინა მან თავი „ფრაიბურგთან“?

— თავი დიდად არ გამოუჩენია, მაგრამ საერთოდ კარგი თავდასხმელია — სწრაფი, ტექნიკური და კარგი დარტყმებით.

**დავით თავართქილაძე**

# ნახევრულს არ ურტყამენ ხიზანიშვილს არც მაკლიშა დააკლო



მიმდინარე სეზონში არველამე-ხიზანიშვილის „რეინჯერსი“ ოდენ იმით გამოიჩინა, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალითიკაციო ეტაპი დასძლია და ლიგაში თამაშით ვალეები დაიბერტყა. გუშინ კი „რეინჯერსი“ შინ დამარცხდა „სელტიკთან“ და, სამწუხაროდ, ამაში ქართველის ხელიც ერია.

მატი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ჰენრიკ ლარსონმა მაიკლ ბოლის შეცდომით კარგად ისარგებლა და თავურთ დაწინაურა „სელტიკი“. მერე ლარსონმა ზურაბ ხიზანიშვილს ას-

წაანა ბურთი და აღან ტომსონს გაატანინა. სწორედ ამის მერე შეცვალა „რეინჯერსის“ დამრიგებელმა ხიზანიშვილი, რითაც ჩვენებურს ფსიქოლოგიური ტრავმა დაუძმძმა.

ზურა მატჩის შემდეგ მყის გლაზგოს „ურობორტში“ გაემურა, რათა გუშინ გვიან ჩასულიყო მანჰაიმში ეროვნულ ნაკრებთან.

რაც შეეხება მეორე ქართველ რეინჯერსელს, ნაოპერაციებ შოთა არველაძეს ფავარჯნები ჯვრაც არ გადაუგდია და მუხლზე ფიზიოთერაპიას იტარებს.

**დავით თავართქილაძე**

# სირაძემ სტარტის გამო გაიხსენა

დავით სირაძის „უნიონმა“ გუშინ „ტრიირთან“ პირველად ითამაშა ახალი მწვრთნელის ხელში — ალექსანდრ რისტინის უნიონური დებიუტი ნარუმატებელი გამოდგა — ბერლინელებმა შინ 1:3 ნაავეს.

სირაძემ კი პირველად ითამაშა „უნიონის“ სასტარტოში. დათო 82-ე წუთზე შეცვალეს, როცა „უნიონი“ 1:2 აგებდა და ბერლინელებმა გოლი ამის შემდეგაც გაუშვეს

— მანამდე სულ შეცვლაზე ვთამაშობდი, არადა, სასტარტოში რომ ხარ, სულ სხვაა. პირველი ტიმი, რომელიც 1:0 მოვიგეთ, კარგად ვითამაშე, ერთხელ კარგი მომენტიც მქონდა, მაგრამ კარისკენ დარტყმული ბურთი „ტრიირის“ მცველს მოხვდა.

— რა პოზიციაზე გაგამწესა რისტინმა და რატომ შეცვალა?

— მარჯვენა ნახევარმცველად ვითამაშე, რაც შეეხება შეცვლას, მწ-

ვრთნელმა სამი თავდასხმელით გადაწვევტა თამაშის გაგრძელება — ჩემს ნაცვლად ფორვარდი შეუშვა. მეორე ტიამში „უნიონის“ დაცვა ბალიან მოიშალა და ამის გამო დაემარცხდით.

— რისტინს მოხსნას ხომ არ უპირებენ?

— ჯერ არაფერი ვიცი. რაც შეეხება „უნიონის“ ყოფილ მწვრთნელ მარკო ვოტავას, ისიც მანჰაიმში იქნება 30 მარტს, რათა ჩვენს და



გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებს შორის მატჩს დაესწროს — ეს შეხვედრა ვოტავასაც ბალიან აინტერესებს. „უნიონი“ კი მართლაც რთულ მდგომარეობაშია — ახლა შედიხედ ორი გასვლა გველის, მერე კი შინ „ნიუნბერგს“ ვიღებთ.


**დავით თავართქილაძე**

**პორტუგალია**  
სუპერლიგა XXVIII ტური  
განთიკა 2:0 ალგირა


# კობიაშვილმა შირსს წუდი აგზაში უთხრა

## გერმანელი ჰაბარაც გერმანელია

ლევან კობიაშვილი ისევ დაშავდა და, სავარაუდოდ, ორი კვირა დაისვენებს. შაბათის „ბოხუმ“ – „შალკეს“ მძიმე მატჩში ჩვენთან, რომელიც ტრავმის მერე დაუბრუნდა მოედანს, თავიდან ბოლომდე ითამაშა და თავისი ნილიც დაიდო „შალკეს“ გამარჯვებაში, მაგრამ მატჩის მერე სამედიცინო განხილვის შემდეგ ლევან კობიაშვილი, რა თქმა უნდა, ნაერებსაც დააყოლია



გერმანელი ჰაბარაც გერმანელია



გერმანელი ჰაბარაც გერმანელია

ქუთაისის „ტორპედოში“ დიდი ამბები. საქართველოს სამხრის ჩემპიონს პროკურატურა შეუჩინდა და ფინანსურ მართლებებს ედავება. პროკურატურის მტკიცებით, „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ საკმაო თანხები ისე არ განკარგა, როგორც წესი და რიგია და გადასახადებსაც თავი აარიდა. გამოძიებები ჯერაც საქმეში იქექებიან და რა როგორ იქნება, მალე გავიგებთ. მანამდე კი, ბუნებრივია, სიტუაციაში გარკვევა ვცადეთ და „ტორპედოს“ ვიცე-პრეზიდენტ შაბან ნანიკაშვილს დავუკავშირდით...

# რას ეტყვიან პრეზიდენტს, რას იტყვის პრეზიდენტი

— ბატონო შაბან, თუ შეგიძლიათ, ზუსტად ვითხრათ, რას ვეღავეთ პროკურატურა?  
— განსაკუთრებული არაფერი ხდება.  
— გავრცელებული ინფორმაციით, საკმაო თანხებზეა ლაპარაკი...  
— რაღაც თანხებზე მართლაც არის პრეტენზიები, მაგრამ ეს ჯერ გასარკვევია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ოფისი შეამოწმეს და დარღვევები არ ყოფილა.  
— ესე იგი, ამხელა აუიოტაჟი გაბუქულა?  
— ამას თვითონ გაარკვევენ. ოფისში ყველაფერი რიგზეა. იმედი მაქვს, პროკურატურა კარგად გაერკვევა საქმეში და ყველაფერი დამთავრდება.  
— რომელი წლების დარღვევებზეა ლაპარაკი?  
— არ ვიცი, მე ბუღალტერია არ მეხება და არც არასდროს ჩაერეულვარ ამ საკითხში. „ტორპედოში“ სპორტული მხარე მევალება და სხვა არ მაინტერესებს. უფრო ის მაღელვებს, ჩვენი პრეზიდენტი ზურაბ ხინიკაძე როგორ გაიგებს ამ ამბავს.  
— ზომ არ არის მოსალოდნელი, ამით „ტორპედოს“ გარკვეული პრობლემები შეექმნას?  
— მთავარი ისაა, როგორ გაიგებს ზურაბ ხინიკაძე ამ ყველაფერს, ანუ რა ინფორმაციას მიაწვდინა.  
— ჯერჯერობით არაფერი იცის? არ შეგზინებიათ?  
— არა, მას ყოველთვის მე ვურეკავ და აქაურ ამბებს ვუყვები. ახლა არ ვიცი, იცის თუ არა რამე. ბოლომდე ისედაც გულგატეხილი იყო და...  
— გულგატეხილი რატომ?  
— „ტორპედოს“ შედეგების გამო. ექვსეულშიც ვერ მოხვდით...  
— გასაგებია...  
— რა ვიცი... თუ ჩვენს კარგ საქმეებს დაინახვენ, ამას რა აგობებს „ტორპედოს“ ბოლოდროინდელი წარმატებები ჰაერიდან არ მოსულა. საამისოდ ბევრი ვიშრომეთ. მგონი, არც მთავრობას უნდა აძლედეხს ხელს, ასეთი ხალხის ფეხბურთიდან მოწყვეტა. ხინიკაძემ „ტორპედოს“ სული მოათქმევინა, ახლა კი ვნახოთ, იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

ბას ზალაგზარძე

— ნატკენ მუხლზე ვიკურნალე და „ბოხუმთან“ მატჩისას არც შევეუწუხებოვარ, მაგრამ რად გინდა, მეორე მუხლში ჩამარტყეს და კიდევ ორი კვირით მომიწევს დასვენება — გვითხრა ლევან კობიაშვილმა, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით — მენისკის ტრავმის შემთხვევაში, მაგრამ რენტგენმა ეს არ აჩვენა. მუხლში სისხლჩაქცევა მაქვს, აუტანლად მტკივა. ექიმების თქმით, ერთი კვირა ვერც კი ვივარჯიშებ. ამ დღით ნაკრებშიც მულოდნენ, მაგრამ დავრეკე და მწვრთნელს ჩემი ამბავი ვუთხარი.  
— ნაკრების საქმიანობა და ჟირესის გასაცნობად მაინც ჩახვალ მანჩაესში?  
— თამაშს დავესწრები. ხვალ ისევ ექიმებთან ვარ დაბარებული და წასვლას ვეღარ ვასწრებ. თამაშზე კი აუცილებლად ვიქნები და ჟირესსაც ვნახავ.  
— რას ამბობენ გერმანიაში მომავალ მატჩზე?  
— მთელი ყურადღება ოთხშაბათის გერმანია — ბელგიის თამაშზე გადატანილი, ახალგაზრდულ ნაკრებზე ბევრს არც ლაპარაკობენ. თუმცა რეკლამა ტელევიზიით არც

ჩვენს მატჩს აკლია. ვფიქრობ, საინტერესო, კარგი თამაში უნდა გამოვიდეს. გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა თავიანთი კლუბების ძირითად შემადგენლობაში თამაშობს. ასაკით კი ამ გუნდის სიძლიერის განსაზღვრა არ შეიძლება. შტილიკეს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავს, ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში ამ გუნდს ძალიან აქებენ.  
— „ბოხუმ“ — „შალკეს“ მატჩზე რას იტყვი?  
— სეზონში, მგონი, ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ. რომ წაგვევო, სუთულში მოხვედრის შანსს ვკარგავდით, ახლა კი იგივე „ბოხუმთან“ სხვაობა ორ ქულამდე შევამცირეთ. მომავალ ტურში „ბოხუმი“ დორტმუნდში თამაშობს. ქულებს ან ერთი დაკარგავს, ან მეორე, ჩვენ კი „ჰამბურგს“ თუ მოვუგეთ, მერე სუთულში მოხვედრა აღარ უნდა გავვიჭირდეს.  
— „ჰამბურგთან“ შენი თამაში გამორიცხულია?  
— კი, გამორიცხულია. უკეთეს შემთხვევაში ორი კვირის მერე თუ ვითამაშებ.

ბობა ინასარიძე



საპროგნოზო 15 ნაპროგნოზი 18 ტურში

ქობულეთი	17	12	1	4	34:16	37
ოლიმპი	18	10	5	3	27:14	35
სამგურალი	18	10	4	4	24:12	34
ცხინვალი	18	9	5	4	30:14	32
გორდა	18	9	3	6	25:20	30
დინამო 2	18	8	4	6	36:23	28
მილანი	18	8	4	6	18:14	28
ამერი	18	7	5	6	21:17	26
ვიტ ჯორჯია-მცხ.	18	6	8	4	15:11	26
ჩიხურა	17	7	2	8	20:19	23
ივერია	18	6	5	7	13:23	23
ოსე	17	6	4	7	28:19	22
გური	18	6	3	9	22:27	21
ლოკომოტივი 2	18	6	1	11	15:31	19
ლუკა	17	4	1	12	14:35	13
მეტალურგი	18	0	1	17	7:54	1

# კორდალიძე კალათბურთით ინჟებს

— ანთალიაში კარგად მოვემზადეთ, ჩემპიონატამდე ჩვენს ბაზაზე ვივარჯიშებთ და მერე „აუდასთან“ მატჩით სეზონსაც დავიწყებთ.  
— ალბათ საკალათბურთო ანგარიში იქნება...  
— მეც ასე მგონია. „აუდას“ დავბომბავთ.  
— ზომ არ მოგებურდა ამდენი ჩემპიონობა?  
— ჩემპიონობას მაშინ აქვს გემო, როცა დაძაბულ ბრძოლაში იგებ. შარშანდელი სეზონი ამ მხრივ სხვებს სჯობდა. სხვათა შორის, ახლა უფრო მეტ წინააღმდეგობას ვეღი. ორი-სამი გუნდი მართლა გაძლიერდა და ვნახოთ, რამდენს გაქაჩავენ.  
— ეს შენი ბოლო სეზონია ლატვიში?  
— კონტრაქტით კი. წინასწარ მეტის თქმა არ მინდა. კარგად იცით, რომ „სკონტოლან“ წასვლაზე რა ხანია, ვფიქრობ.  
— თურქეთში ბოლო ამხანაგურ მატჩებში სამივე ქართველს ერთდროულად არ ვითამაშიათ...  
— მგონი, ჩემპიონატშიც ასე იქნება. სამივე ერთად თამაში ვაჭირდება.  
— რატომ?  
— ხუთ ლევიონურზე მეტის თამაში არ შეიძლება. ჩვენ კი ექვსნი ვართ. ლიტვის ნაკრების წევრები — ბუიტკუსი და დედურა, ერთი კამერუნელი ოლიმპიური ჩემპიონი და ჩვენ სამი. ბუიტკუსი, დედურა და კამერუნელი ძირითადის წევრები არიან. ასე რომ...  
— და ვის უწევს სათადარიგობა?  
— რა ვიცი, მე თუ „სკონტოს“ ძირითადში მოხვედრა გამიჭირდა, ფეხბურთის საერთოდ დავანებებ თავს.  
— დავით ჩალაძე რომ აპირებს „სკონტოში“ დაბრუნებას, იცი?  
— არა, არ გამიგია. ვიცოდი, რომ რეზერვში იყო ლაპარაკი, მაგრამ ალექსი ახლახან მითხრა, მოსკოვში ვრჩები.  
— ყოფიანი მენტორმაშვილს 10-ნომრიანი მისურის „წართმევას“ რომ უპირებდა, რა ქნა?  
— არ გამოუვიდა. „ყოფოს“ 21 ნომერი ერგო.

ბას ზალაგზარძე

# მყვირალა ამბები

ცხრა წელიწადია, რაც ბორჯაბოს სიონი ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშობს და თბილისის „დინამოსთვის“ აქამდე შინ თუ გარეთ ვერ მოუგო – ნავსი და მითები ბორჯაბოსელებმა ამ ტურში დაამსხვრიეს – თემურ მახარაძის „სიონმა“ ივო შუბაქის „დინამოს“ სძლია. გარდა ამისა, ტურმა ერთი მწვრთნელიც მოიხელთა – „ვიტ ჯორჯიას“ ზურაბ ბერიძე აღარ განვრთნის, ხოლო ალენ ჟირესი ავლაბარში კარგ მინდორსა და ტემპიან თამაშს ნააწყობა.



# როსა ეს ხდება, რაღას მოხდება

## ლაპარაკები დინამოზე და დინამოში

გამოცდილებაც და გუმანიც გვეკარნახობს, რომ თბილისის „დინამოში“ რაღაც ისეთი ხდება, რაზეც კარგი ნამდვილად არ ითქმის.

სამი გოლი უმწიფო, მწიფი „სამგურალისგან“ საპასუხო სათასო მატჩში, სამი გოლი ასევე გაპირებული „სიონისგან“ და, საერთოდაც, არცთუ შთამბეჭდავი თამაში სეზონის განახლებიდან დღემდე. სხვებთან შედარებით დინამოელთა თამაშის ხარისხზე ლაპარაკი დიდი ვერაფერი ხვითო თემაა — „დინამო“ ასეც და ისეც გახდება ჩემპიონი და ალბათ თასსაც შეინარჩუნებს. საქმე სხვაა — აშკარად ბუნდოვანი და დამცრობილი პერსპექტივა, რაზეც ბევრი ლაპარაკობს, თუმცა ხმაოდ არაფერია. ასეთ ვითარებაში კი, ვინძლო, იქ, სადაც ჩვეულებრივ მოკვდავს ყური და თვალი არ მიუწვდება, უკვე ფიქრობდნენ საკლებო ცვლილებებზე. სწორედაც საკლებზე და არა კონკრეტულად გუნდზე. გუნდში ცვლილებები უკვე მოხდა — სამი ფეხბურთელი წავიდა და ერთი ამდენიც რიგშია. აწყობილი გუნდი, ფაქტობრივად, მოიშალა. არც შუშაყია ჯალოჭარი, გუნდს ლიდერების წასვლა არ დაეცოდა, თანაც ორ თვეში „დინამოსთან“ კონტრაქტი უმთავრდება და ასეთ დროს ხელს, ალბათ, არაფერია ახლებს. არც სხვა, მასთან მომუშავე პერსონალს შეეგლება ხელი და, რა თქმა უნდა, არც ფეხბურთელებს.

მაშ, რას გვეკარნახობს გამოცდილება და გუმანი? იმას, რომ ცოტა ხანში კლუბის „სახელისუფლო დერეფნებში“ საუფროსო ოთახებიდან მკვახე ლაპარაკის ჩაგულდული ხმა გაიშვება.



# უნიტაზები ტრიბუნაზე


ბინება და ქართული ფეხბურთი ძმები თუ არა, ბიძაშვილები მაინც არიან. ეროვნული ჩემპიონატის რომელიც ვინდა მატჩი ნახეთ და იმნარებს გაივებთ... საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულის შეილებს ერთი სული აქვთ, პირი მოაღონ და მთელი თავისი ზმირად გლეხურ-პროვინციული სული და კომპლექსები დაუნდობელ გინებაში ჩააფრქვიონ. საწყენი ისაა, რომ ამათ დარად მოთამაშენიც უშვერუხამსობენ. ამიტომაც იყო, „ტორპედო“ — „ბათუმის“ მატჩში მსაჯმა ორი ფეხბურთელი რომ დაითხოვა მოედნიდან. ბათუმელ ზურაბ ქეჩაიას მსაჯის შეურაცხყოფა არ ეპატია, მასპინძელი ვაგა ჩხეტიანი კი ტრიბუნების საპასუხო „ტკბილად“ მოკითხვისთვის გაუდგა გასახდელის გზას. და რა არის მხელად შესავნები იმაში, რომ საქართველოში კაცს ოჯახი ორ შაურად არ უნდა შეუეინო?! ფეხბურთელმა კი, ვინდა, არ ვინდა, უნდა მოითმინოს — პროფესია ასეთი. მოკლედ, ქომაგმა უნდა უქომაგოს, ფეხბურთელმა კი უნდა ითამაშოს!



# მწვრთნელი ზურაბ, სადავდე?

მწვრთნელის ხვედრი ასეთია — ყოველთვის მზად უნდა იყოს გუნდიდან წასასვლელად. ზურაბ ბერიძის ხელში „ვიტ ჯორჯიამ“ სეზონის მეორე ეტაპი ცუდად დაიწყო — თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩში „სპარტაკთან“ წააგო, ჩემპიონატის პირველ ტურში შინ „სიონს“ ვერ მოუგო, მერე კი „თბილისთან“ 0:1 წააგო — ზედინხედ სამ შეხვედრაში გოლი ვერ გაიტანა.

ბერიძე „თბილისთან“ მეტრის წინ თითქოს გრძობდა მოსალოდნელ გადოდგომას და ალბათ ამიტომაც ამბობდა თამამად, „თბილისს“ მოკვებთო. მოკლედ, ბერიძეს მთავარი მწვრთნელის პოსტი დაატოვებინეს, მაგრამ „ვიტ ჯორჯიაში“ მალე სხვა რამით დასაქმებენ. მანმდე კი ვიტყვებს მერაბ კოჭლაშვილი უმთავარმწვრთნელებს.



№ გუნდები	სულ					შინ					სტუმრად										
	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	მ	ფ	წ	ბ	ს	მ	ფ	წ	ბ	ს	მ				
1 დინამო	2	0	1	1	2:3	-1	26	1	0	1	0	0:0	0	1	1	0	0	1	2:3	-1	0
2 სიონი	2	1	1	0	3:2	1	24	1	1	0	0	3:2	1	3	1	0	1	0	0:0	0	1
3 თბილისი	2	1	1	0	1:0	1	22	2	1	1	0	1:0	1	4	0	0	0	0:0	0	0	0
4 ვიტ ჯორჯია	2	0	1	1	0:1	-1	22	1	0	1	0	0:0	0	1	1	0	0	1	0:1	-1	0
5 დილა	2	0	2	0	0:0	0	19	1	0	1	0	0:0	0	1	1	0	1	0	0:0	0	1
6 ლოკომოტივი	2	0	2	0	0:0	0	19	0	0	0	0	0:0	0	0	2	0	2	0	0:0	0	2

№ გუნდები	სულ					შინ					სტუმრად										
	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	მ	ფ	წ	ბ	ს	მ	ფ	წ	ბ	ს	მ				
7 ბორჯაბო	2	2	0	0	3:0	3	23	2	2	0	0	3:0	3	6	0	0	0	0:0	0	0	0
8 ბათუმი	1	0	0	1	0:2	-2	16	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	0:2	-2	0
9 მცხეთა	2	1	1	0	2:1	1	14	1	0	1	0	1:1	0	1	1	1	0	1:0	1	3	0
10 ჯოლბეთი	2	0	2	0	1:1	0	14	0	0	0	0	0:0	0	0	2	0	2	0	1:1	0	2
11 სპარტაკი	1	0	0	1	0:1	-1	8	1	0	0	1	0:1	-1	0	0	0	0	0	0:0	0	0
12 მარცხალი	2	0	1	1	0:1	-1	6	1	0	1	0	0:0	0	1	1	0	0	1	0:1	-1	0



ბორის გონჩაროვი

პროფარდირები	
16 - ბორჩალო	სიონი
14 - ბოცინიძე	ვიტ ჯორჯია
10 - პაპალაძე	ბათუმი/დინამო
9 - შიპუაძე	თბილისი
7 - ვ. გორაშვილი	ვიტ ჯორჯია
6 - შაპალაძე	მერცხალი/ჯოლბეთი
5 - ვაშვილი	დინამო
4 - ბაბიძე	სიონი



სულიკო დავითაშვილი, რეზან ვოციტიშვილი

# ერთი ბორია და კიდევ ორია

თითქმის უგოლო პირველი ტურის მერე ბომბარდირებმა ხელი გამოიღეს. სიონელმა ბორის გონჩაროვმა ჩემპიონატის მე-16 გოლი „დინამოს“ გაუტანა და კიდევ უფრო გაუსწრო ვეტერინარ რევაზ გოცირიძეს, ვისაც ხანგრძლივი „მარცვა“ აქამდე მესამეადგილოსანმა სულიკო დავითაშვილმაც არ აპატია. „ტორპედოს“ თავდამსხმელმა „ბათუმთან“ გატანილი პენალტით შეავინროვა კონკურენტი.







გოი ახვლედიანის

სვეტი

COOL

გიშვებან, გიშვებან...

ეს სვენი გორან ერიკსონი კაი კაცი ყოფილა. აქამდეც ვიცოდი, რომ ისეთი ვინმეა, ინგლისელები COOL-ს რომ ეტყვიან, ეს COOL-ს კი ძალიან ფასობს იქაურ საფეხბურთო სამყაროში. ეს სიტყვა ერთდროულად მშვიდსაც და მიმწოლსაც ნიშნავს, აუღელვებელსაც და იმავდროულად გონიერსაც.

მოკლედ, მე ის გამეხარდა, რომ შვედი „ჩელსის“ მწვრთნელად არ წავიდა, თუმცა, მთელი წელიწადი ლაპარაკობენ, ახალი სეზონიდან სწორედ ის იქნება აბრამოვიჩის მენეჯერი. ერიკსონის გადაწყვეტილება კი იმიტომ მომეწონა, რომ მეტად მეცოდება კლაუდიო რანიერი. საცოდავი კი არაფერი სჭირს, მაგრამ ძალიან ძნელია, როცა სექტემბრიდან გესმის, შხის სისტემის ჩემპიონიც რომ გახდეს, ივნისში მაინც უნდა წახვიდო.

ამ ძახილში საქმის კეთება ნიშნავს, რომ მაგარი ვინმე ხარ. „ჩელსის“ გულშემოტიკერებს ძალიან უყვართ რანიერი. ის უტიტულო მწვრთნელია, თუმცა, სრულიად განსაკუთრებული ხელობითაც და განსაკუთრებული ხასიათითაც. რანიერი რომაელია, წმინდა ანსელმოს ეკლესიის შორიახლოსაა გაზრდილი. რომელია კი ადამიანთა ძალიან კოლორიტული მოდგმა.

ჩუკოტკის გუბერნატორმა ძალიან ბევრი ფული დახარჯა. მას დასავლეთ ინგლისში „გალაქტიკოს“ შექმნა სწავლა. ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი რანიერის სიტყვები: „ჩვენ ჯერ დიდები არ ვართ. ჩვენ დიდებს ვებრძობით და გვინდა დიდები ვიყოთ, ოღონდ ჯერ არ ვართ დიდები“. ასეთი სიტყვები აბრამოვიჩის ფაიდის პატრონებს თითქოს ძნელად ესმით.

მისტერ ჩელსის ოცნება და სურვილები მისაღები და ჯადოსნურია, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ რაღაც სეზონის დასაწყისშივე არ თქვა და თქვა სეზონის ბოლოს? თავად აბრამოვიჩის არც უთქვამს რამე, რანიერივე ზრდილობიანად იმეორებს, ჩემი გაშვების ამბავს, პრესა ბუქავსო. პრესა ტყუილად არაფერს ამბობს. იმ დღეს ჯონ ტერიმ განაცხადა, ამ საღამოს პირადად ჩვენი მენეჯერის სახელისა და დირექტორის მინდა მოგებაო.

თავად რანიერიმ ერთადერთხელ დაიწვია, ნამდვილად არ გადავდგები, თუ გამიშვებენ, გამიშვანო. საქმე გაშვებაში კი არ არის, ვინ არ გაუშვიათ? საქმე ისაა, მთელი წელი რომ გესმის, გიშვებენ, გიშვებენ, შენს მაგივრად კი შვედი მოდისო.

ჰოდა, ახლა შვედი აღარ მიდის. ვინმე სხვა მივა, მაგრამ კლაუდიო კი გატანჯეს და ამის მიუხედავად, მუშაობს. ტიტულებს ალბათ ვერც წლეულს მოინახულებს, მაგრამ ეს არის მთავარი. განა ას წელიწადში ბევრი მოუნადირებია „ჩელსის“, რომელიც აბრამოვიჩისგან ნაყიდი თორმეტი კაციტაც არ არის იმაზე მეტი, რაც შარშან იყო? გასაგებია, რომ პატრონმა ბევრი დაახარჯა და მეტი უნდა. ისიც გასაგებია, რომ კლაუდიოზე დიდი და სახელოვანი მწვრთნელი უნდა, მაგრამ ვინც გყავს, ის რატომ უნდა იყოს უაზრო წნეხის ქვეშ? პრესაო. პრესა რასაც ხედავს, იმას ბუქავს. ინგლისში ეგეთი პრესაა. ჩუკოტკაში, ალბათ, არა.

რანიერიც COOL არის. ერიკსონზე არანაკლები.



„ყოველთვის ვამბობდი, რომ ინგლისის ნაკრების გაძლიერება დიდი პატივია. ბედნიერი ვარ, ფეხბურთის ასოციაციასთან საერთო ენა რომ გამოვინახე, რითაც აქ მუშაობის საიმპონებო გავიხანგრძლივე“ — განაცხადა ერიკსონმა და „სანის“ მტკიცება, თითქოს მას „ჩელსის“ უკვე ყველაფერი მოგვარებული ჰქონდა, გააქარწყლა. „სანი“ კი ამბობდა, რომ „ჩელსი“ ერიკსონს კვირაში ასი ათას გირვანქას, პლუს ინგლისის ჩემპიონობისთვის ერთ, ხოლო ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის ორ მილიონსაც ჰპირდებოდა და ეს ყველაფერი ხუთი წლის ჯამში საღდაც 40 მილიონს იძლეოდა.

„ჩელსის“ მხოლოდ მოუხმინე — განმარტა შვედმა — ჩემი აზრით, როდესაც ამბიციური ადამიანი ხარ, თუკი წინადადებით მოდიან, უნდა მოუსმინო. ამის გაკეთებაში ხელს ვერაფერი ვერავის შეუშლის, თვით ინგლისის ნაკრების მწვრთნელსაც კი“.

და საიდან მოიტანა „სანმა“ „ჩელსის“ ამ-



სვენ გორან ერიკსონისა და პიტერ კინონის საიდუმლო შეხვედრის ამბავი მთელმა ქვეყანამ გაიგო

# მოი-სვენ-აი!

## ერიკსონი ინგლისით

### 2006 წლამდე ისიაშოვნებს

56 წლის შვედმა სვენ გორან ერიკსონმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან კიდევ ორი წლით გააგრძელა ხელშეკრულება. „ლაციოს“ ოდინდელი თავკაცი ახლა უკვე მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაიწყებს ახალი სამუშაოს პოვნას, რომელიც... ორი დღის წინანდელი „სანის“ ვარაუდით, ახლავე ნაშოვნის ჰქონდა

ბავი? საქმე ის არის, რომ გაზეთის პაპარაცებმა შვედი დასავლეთ ლონდონში, „ჩელსის“ აღმასრულებელი შეფის, პიტერ კინონის ბინაში ვიზიტისას დააფიქსირეს, ხოლო შორიახლოს მცხოვრებთაგან დააზუსტეს, რომ ამდგვარი ვიზიტი მარტის დასაწყისშიც ყოფილა. მათ ნახეს ვერცხლისფერი „მერსედესი“ (ეს მანქანა მწვრთნელს ფეხბურთის ასოციაციამ გამოუყო), რომლიდანაც გადმოვიდა მუქ კოსტუმში გამოწყობილი ჰალსტუხიანი სვენი, რომელმაც კინონთან ორი საათი გაატარა. სამეზობლოში ითქვა, რომ მარტის დასაწყისში ვიზიტის დროსაც სვენს მუქი კოსტუმი ეცვა.

ამ სტუმრობაზე დაყრდნობით ატყდა ამბავი, რომლის ინტონაცია იმას მიუთითებდა, რომ შვედი ინგლისელთა თავდადებული ერთგული მწვრთნელი არ არის. „სანი“ წერდა ისეთ ირონიულ ამბავსაც, თითქოს, ერიკსონის ერთი მეგობრის მტკიცებით, სვენისთვის ფული მთავარი არ იყო და იგი „ჩელსის“ მხოლოდ საინტერესო საქმის და გამოწვევის გამო მიდიოდა.

კინონისთვის: სვენს ნაკრების მწვრთნელბაში წელიწადში 4 მილიონს უხდიან.

და კიდევ, ითქვა იმაზეც, რომ პიტერ კინონთან სტუმრობის წინა დღეს ერიკსონმა და მისმა სატრფომი, ნენსი დელოლიომ ლონდონის რესტორან „სან ლორენცოში“ ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორ დევიდ დევისსა და მის მეუღლესთან ერთდ ივანშმეს.

„ოდელურ შემთხვევაში ახალი ხელშეკრულება ევრო 2004-ის შემდეგ უნდა გამოფორმებინა, მაგრამ ჩემს ირგვლივ ისეთი ჭორაობა ატყდა, რომ მივხვდი, დარჩენილ თვეებს სავიჯთად გადამიქცევდნენ“ — თქვა ერიკსონმა.

ბაბუნა კელია

### სვენ გორან ერიკსონის გოლო წლავის საყრადღებო თარიღები და მოვლანები

#### 2001 წალი

ინვარი — „ლაციოდან“ მიდის და ინგლისის ნაკრებს უდგება სათავეში  
29 თებერვალი — ნაკრებში დებიუტი აქვს. ინგლისი ესპანეთს 3:0 უგებს

მარტი — ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ფინეთს (2:1) და ალბანეთს (1:1) ამარცხებს

6 ივნისი — ინგლისი უგებს საბერძნეთს 2:0

15 აგვისტო — ერიკსონი პირველად მარცხდება, ინგლისი ჰოლანდიასთან ამხანაგურ შეხვედრაში 0:2-ს აგებს

1 სექტემბერი — ერიკსონის უდიდესი ინგლისური წარმატება: გერმანია — ინგლისი 1:5

6 ოქტომბერი — ინგლისი საბერძნეთთან 2:2-ს თამაშობს და მსოფლიოს ჩემპიონატზე გადის

დეკემბერი — ერიკსონი უარყოფს ჭორს, რომ იგი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი უნდა გახდეს

#### 2002 წალი

აპრილი — გახმაურდა ერიკსონის რომანი ულრიკა იონსონთან

ივნისი — ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც თამაშობს შვედეთთან, არგენტინასთან, ნიგერისთან, დანიასთან და ბრაზილიასთან. ბრაზილიასთან 1:2 დამარცხების გამო ინგლისელები შეჯიბრებას ეთიშებიან

ოქტომბერი — ინგლისი იწყებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს. სლოვაკეთში ერიკსონის გუნდი ჭოჭმანით იგებს 2:1-ს, ხოლო მაკედონიასთან 2:2-ს თამაშობს

#### 2003 წალი

თებერვალი — ავსტრალიასთან ამხანაგური შეხვედრის (1:3) შესვენებაზე ერიკსონი მთელ გუნდს ცვლის, რის გამოც კრიტიკის ობიექტი ხდება

ივლისი — ერიკსონი აღიარებს, რომ „ჩელსის“ მეპატრონეს, რომან აბრამოვიჩს შეხვდა, მაგრამ უარყოფს, რომ ამას მის მომავალ საწსახურთან ჰქონდა რაიმე კავშირი

სექტემბერი — ინგლისი მაკედონიას 2:1-ს უგებს.

ოქტომბერი — თურქეთთან გადამწყვეტი შეხვედრის საშუალების რიო ფერდინანდის დოპინგ-სკანდალი ფარავს, თამაში კი 0:0-ით მთავრდება

#### 2004 წალი

თებერვალი — ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან მოლაპარაკებებს ანარმოებს

24 მარტი — მისით მადრიდის „რელიც“ ინტერესდება
























REUTERS დორტმუნდიდან



### დორტმუნდის ქალები

ფიგურული სრიალის მსოფლიო ჩემპიონატი, დორტმუნდში რომ მიმდინარეობდა, ეგრეც ვერ ასცდა სტრიკერს. თუ ადრე ტიტულა მოსტუნავებს ფეხბურთის მინდვრები უყვარდათ, ახლა ყინულსაც გასწევნიან და ტრადიციად ქცეული კაზინოს საიტის რეკლამაც არ დავიწყებიათ, მაგრამ ამ ქალაქში ისილი უღვამის ცქერას ქალთა ჩემპიონატის სამი პრიზიორის ცქერა სჯობს. აბერეკელი საშა კოენი მეორეა, გედიგით იაპონელი შიზუკა არაკავა ჩემპიონი, განთქმული ამერიკელი მიშელ კვანი კი — მესამე.



REUTERS დორტმუნდიდან

## პატივანური ზანობა

პაპი მღვდელ-მონაზვნობა არაფერ შუაშია. ეს საღვთოდ მორთული ვინმეები ინგლისის შვიდეკაცა მორაგბეთა ქომაგები გახლავან და პონკონგის განთქმული შვიდეკაცას ნახევარფინალს უმზერენ. ინგლისი სამხრეთ აფრიკას ამარცხებს და ფინალში არგენტინას ეჯახება.



REUTERS პონკონგიდან



REUTERS კლოსტერსიდან

### უფლისწულები მთაბუში

ამრილი კი მოახლოვდა, მაგრამ შვეიცარიის ალპებში თხილამურთა კვლავ შეიძლება. ბრიტანეთის ორი უფლისწული: უელსისა, ჩარლზი და მისი უფროსი ვაჟი უილიამი იქ ყოფილან, სამთო კურორტ კლოსტერსში, სადაც სწრაფდამშვებებში ერთმანეთს ეჯიბრებიან და მზესაც ეფიცებიან.

**სარბიელი**  
საერთაშორისო გაზეთი

გამოცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან

გამომცემი: (რეზაბათს,  
სამშაბათს, (ორშაბათს,  
სუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ზორაძე  
დირექტორი ბიორგი ოქროშვილი  
რედაქტორი თამაზ მიხრიაული  
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორიძე  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი

ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით ერადე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი დარჯანიანი, გიორგი ვაშაყვიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შვირაპიძე  
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მადლაკელიძე, ირაკლი პერტაია

ფოტორეპორტორები: გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კვიციანი  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი

კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაგელიძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
შაზაძის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საზვოსტო მისამართი:  
თბილისი — 79, საზვოსტო  
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbieri@gol.ge  
ელექტრონული ვერსია  
<http://www.sarbieri.com.ge>